წერილის ნომერი:**18-01190705201**
თარიღი: **11/03/2019**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 06 მარტის # 17-0119065180-18 წერილი (AR1657069) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე გიორგი ჯობავას მომართვის საფუძველზე, შპს „ანკო უძრავი ქონების“საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი: #27 ს.კ: 01.14.05.008.192; IV კლასი, ფუნქციური ზონა: სზ-3) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული მცენარეები 6 ძირი იტალიური ფიჭვი, 2 ძირი ორნაკვთიანი გინგკო, 2 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 4 ძირი წითელი ტყემალი, 3 ძირი არღავანი და 3 ძირი ირმის რქა სრულად ითვისებს გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (197.25-კ3=0.2 კვ. მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები(სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, **ამდენად, სამსახური თანახმაა დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ გამწვანების პროექტის საინფორმაციო ბანერის ესკიზზე დასარგავი ხეების დიამეტრად უნდა განისაზღვროს 20 სმ.(ყველა მცენარისთვის). ნებართვის გამცემ ორგანოდ ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ნაცვლად უნდა მიეთითოს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)